საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/123 " 7 " ნოემბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თ. ეპიტაშვილის საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ გამწესების შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თეონა ეპიტაშვილმა 2022 წლის 4 ნოემბერს განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში გადაყვანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თეონა ეპიტაშვილი გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ, 2022 წლის 10 ნოემბრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი